

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

5 იანვარი 2025

რატი წიკლაური

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ალექსანდრე გველესიანი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

ნიკა კვაშალი

უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის
კვლევა

მოკლე შეჯამება


მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა

	უკუგება (USD, %)	
MSCI აქციების ინდექსები	კვირა	YTD
აშშ	(0.98)	0.24
ევროპა	1.26	0.67
აზია (გარდა იაპონიისა)	2.18	1.79
იაპონია	(0.40)	0.00
განვითარებადი ბაზრები	2.32	1.79
მსოფლიო	(0.60)	0.33


ბაზრის პულსი

კვირის განმავლობაში აშშ-ის აქციებით ვაჭრობა სიფრთხილით მიმდინარეობდა, თუმცა ზოგიერთი მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიის ზრდამ გარკვეულწილად სხვა სექტორების დანაკარგების კომპენსირება შეძლო. ევროპულმა ბაზრებმა აზიის ფართომასშტაბიანი ტექნოლოგიური აღმავლობის კვალდაკვალ ზრდა განაგრძეს, რაც Samsung-ისა და TSMC-ის აქციების ფასების მნიშვნელოვანი მატებით იყო განპირობებული. ტექნიკური უზრუნველყოფის (hardware) აქციების თვალსაჩინო წარმატება ორშაბათის წინასა საბაზრო ვაჭრობაშიც კი მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

აქტივების კლასების უკუგება (კვირა)




აშშ-ის სექტორული უკუგება (კვირა)




კვირის მიგნება

2026 წელი ისტორიული ანომალიით გაიხსნა: დაფიქსირდა რეკორდული, 6.6-პროცენტული პუნქტის სხვაობა ნახევარგამტარების მწარმოებლებსა და პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლების შედეგებს შორის. მაშინ, როდესაც VanEck-ის ნახევარგამტარების ETF (SMH) მკვეთრად, 3.7%-ით გაიზარდა, iShares-ის გაფართოებული ტექნოლოგიური პროგრამული უზრუნველყოფის ETF (IGV) 2.9%-ით შემცირდა, რამაც 2011 წლის შემდეგ ამ სექტორებს შორის ყველაზე დიდი აცდენა აჩვენა. აღნიშნული მოვლენა ქვე-სექტორებს შორის ტრადიციულად არსებულ კორელაციას არღვევს.



მსოფლიო ბაზრების მიმოხილვა




უკუგება (USD,%)				
წყარო: Bloomberg				
MSCI აქციების ინდექსები	1-კვირა	1-თვე	წლის დასაწყისიდან	1-წელი
აშშ	(0.98)	(0.23)	0.24	15.25
ევროპა	1.26	2.88	0.67	16.97
აზია (გარდა იაპონიისა)	2.18	3.03	1.79	29.28
იაპონია	(0.40)	1.06	0.00	21.79
განვითარებადი ბაზრები	2.32	3.18	1.79	33.20
მსოფლიო	(0.60)	0.60	0.33	18.94

კვირის მთავარი მოვლენები


- 2026 წელი აშშ-ის საფონდო ბირჟებზე ფრთხილად დაიწყო, თუმცა რიგ შემთხვევებში, ტექნოლოგიურმა ოპტიმიზმმა ომით გამოწვეული სიფრთხილე გადაფარა. მიუხედავად შაბათ-კვირის დრამატული ცნობებისა ნიკოლას მადეროს შეპყრობის შესახებ, ინვესტორებმა გეოპოლიტიკური შოკი მეტწილად ადგილობრივ მოვლენად აღიქვეს, რომელსაც ენერგეტიკული სექტორისთვის შესაძლოა გრძელვადიანი დადებითი შედეგები ჰქონდეს. თუმცა, ვინაიდან ვენესუელაზე ნავთობის გლობალური მიწოდების 1%-ზე ნაკლები მოდის, ნედლეულის ფასებზე გავლენა უმნიშვნელო იყო.
- ევროპულმა ბაზრებმა უფრო მყარი პოზიცია აჩვენეს; რეგიონულმა ინდექსებმა უკუაგდეს გაურკვევლობა და კონცენტრაცია გლობალურ ტრენდებზე მოახდინეს. მართალია, აშშ-ის ქმედებებმა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით გარდაუვალი კითხვები გააჩინა, მაგრამ ევროპულმა ინვესტორებმა აზიური სესიის რეკორდული მაჩვენებლების კვალდაკვალ სვლა არჩიეს.
- აზიაში აქციების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით კი სამხრეთ კორეული Samsung-ი და ტაივანური TSMC ლიდერობდნენ. აზიისთვის კვირის დასაწყისი 2012 წლის შემდეგ რეკორდულად ძლიერი გამოდგა, რადგან ტექნოლოგიურმა ოპტიმიზმმა გეოპოლიტიკური გაურკვევლობა გადაწონა

აქტივების ბაზრის მიმოხილვა

აქტივების კლასების კვირის უკუგება



აქტივების კლასების უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე



წყარო: Bloomberg

გასული კვირის მნიშვნელოვანი ცვლილებები


- გასულ კვირას კლების მოკლე პერიოდის შემდეგ, **ოქროს** ფასი კვლავ მკვეთრად გაიზარდა, რაც დასავლეთ ნახევარსფეროში განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა, კერძოდ კი აშშ-ის სამხედრო ოპერაციამ და ნიკოლას მადუროს შეპყრობამ განაპირობა. ლათინური ამერიკის მსხვილი სახელმწიფოს პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ და რეგიონული არასტაბილურობის საფრთხემ ინვესტორებს უბიძგა, თავი აერიდებინათ სარისკო აქტივებისთვის და უსაფრთხო თავშესაფრად ძვირფასი ლითონი აერჩიათ.
- Brent-ის ნავთობი** კვლავ წნეხის ქვეშ დარჩა. ორშაბათს Brent-ის ფიუჩერსების ფასი ოდნავ შემცირდა და ბარელზე დაახლოებით 60.35 დოლარს მიუახლოვდა, რაც ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) პროგნოზს მოჰყვა მომავალ წელს ბაზარზე მიწოდების მნიშვნელოვანი სიჭარბის შესახებ. აღნიშნული განწყობა კიდევ უფრო გააძლიერა OPEC+-ის კვირის გადაწყვეტილებამ წარმოების არსებული დონეების შენარჩუნების თაობაზე.

გეოპოლიტიკა

მადუროს ნიუ-ორკში „ვიზიტის“ ფონზე აშშ-ის დასავლეთ ნახევარსფეროს ჰეგემონია ურყევია

აშშ-ის ადმინისტრაციასა და ვენესუელის ლიდერ ნიკოლას მადუროს შორის დაძაბულობა თვეების განმავლობაში იზრდებოდა. პარასკევს, EST დროით 22:46 საათზე, ოპერაცია „აბსოლუტური სიმტკიცის“ დაწყების ბრძანება გაიცა. 150 წუთის განმავლობაში ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო შეიპყრეს, მოგვიანებით კი ინტერნეტში მისი აშშ-ში ჩაყვანის ამსახველი ვიდეოები გავრცელდა. გენერალურმა პროკურორმა პემ ბონდიმ განაცხადა, რომ მადუროს ბრალი ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქში წარედგინა. ბრალდებები ნარკოტერორიზმს, კოკაინის იმპორტის მიზნით შეთქმულებასა და გამანადგურებელი მოწყობილობების ფლობას მოიცავს. პრეზიდენტ ტრამპმა ვენესუელაში დროებითი აშშ-ს დე-ფაქტო მმართველობა გამოაცხადა.

მაკროეკონომიკა



FOMC-ის სხდომები ოფიციალური პირების აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას ცხადყოფს

გასულ სამშაბათს ფედერალური რეზერვის 9-10 დეკემბრის სხდომის ოქმები გამოქვეყნდა. ჩანაწერები აჩვენებს, რომ ოფიციალური პირების პოზიციები გაყოფილია შენელებული შრომის ბაზრის მხარდაჭერასა და ინფლაციასთან ბრძოლაში პროგრესის შეფერხებას შორის, თუმცა ეკონომიკური ზრდის ზოგადი მოლოდინი ნარჩუნდება. პოლიტიკის განმსაზღვრელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიუხედავად ტარიფების ინფლაციური ბუნებისა, მათი გავლენა დროებითი უნდა იყოს.


კვირის მიგნება

ორსახოვანი ტექნოლოგიის სექტორი

2026 წლის სავაჭრო წელი ტექნოლოგიურ სექტორში ისტორიული ანომალიით დაიწყო, რაც მისი ორი ძირითადი ქვე-ინდუსტრიის უპრეცედენტო გაყოფით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ფართო ტექნოლოგიური ეკოსისტემა, როგორც წესი, ერთსა და იმავე მიმართულებით მოძრაობს, წლის პირველმა სავაჭრო სესიამ ნახევარგამტარების მწარმოებლებსა და პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლებს შორის მკვეთრი კონტრასტი აჩვენა. კერძოდ, VanEck Semiconductor ETF (SMH) 3.7%-ით გაიზარდა, ხოლო iShares Expanded Tech Software ETF (IGV) 2.9%-ით შემცირდა. მიღებული 6.6-პროცენტიანი სხვაობა რეკორდულ სხვაობას წარმოადგენს ნახევარგამტარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის აქციებს შორის.



ისტორიულად, ეს სექტორები მძლავრ, დაახლოებით 0.8-იან კორელაციას, ინარჩუნებენ, რაც მსგავს მოვლენას განსაკუთრებით იშვიათს ხდის. ამ შემთხვევამდე ბაზარზე არასოდეს დაფიქსირებულთა დღე, როდესაც ჩიპების აქციები 3%-ზე მეტით გაიზარდა, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის აქციები ერთდროულად 2%-ზე მეტით დაეცა. ხსენებული მოვლენა შესაძლოა მიუთითებდეს ხელოვნური ინტელექტის აპარატურული ინფრასტრუქტურის მიმართ ინვესტორების დადებით განწყობაზე, პროგრამულ აპლიკაციებთან შედარებით. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს ცვლილება შესაძლოა ფისკალური წლის დასაწყისში ინსტიტუციური რეაბალანსირებისგან მომდინარეობდეს. როგორც ჩანს, მსხვილი ფონდები ხელოვნური ინტელექტის მიმართ ზოგად ინტერესს ინარჩუნებენ, თუმცა პორტფელებს აპარატურული უზრუნველყოფისკენ მეტად ხრიან.

ნახევარგამტარებსა და პროგრამული უზრუნველყოფის აქციების ვაჭრობას შორის უდიდესი სხვაობა ფიქსირდება





ბაზრის მამოძრავებლები

Molina Healthcare-ის აქციების ფასი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ცნობილმა ინვესტორმა მაიკლ ბერიმ კომპანიის ფუნდამენტურ მდგრადობაზე გაამახვილა ყურადღება. ბერიმ აღნიშნა, რომ Molina უნიკალურ პოზიციაშია, რათა 2026 წელს Medicaid-ის პროგრამიდან მოგება შეინარჩუნოს მაშინ, როცა მისი კონკურენტების უმეტესობა ზარალს განიცდის.



AES Corporation-მა 2026 წელი ზრდით დაიწყო, რაც შესყიდვასთან დაკავშირებულმა ჭორებმა განაპირობა. 2025 წლის მიწურულს გავრცელებული ცნობების თანახმად, კერძო კაპიტალის ისეთმა მსხვილმა ფირმებმა, როგორიცაა BlackRock-ის Global Infrastructure Partners-ია, AES-ის შეძენა განიხილეს, სავარაუდოდ, 38 მილიარდ დოლარად შეფასებული გარიგების ფარგლებში.

Intuit-ი ხელოვნური ინტელექტის დაუნდობელ ეპოქაში თავდაჯერებულობის კრიზისს გადის. თანადამფუძნებლის, სკოტ კუკის მიერ აქციების მრავალმილიონიანი პაკეტის გაყიდვამ დაძაბულობა გაზარდა, რაც ზოგიერთისთვის იმის მანიშნებელია, რომ მნიშვნელოვანი მოთამაშეები ოპტიმიზმს კარგავენ.



Palantir-ისთვის 2026 წელი წარუმატებლად იწყება. კომპანიის „ადამიანური კაპიტალი“ მეტად ექცევა დაკვირვების ქვეშ. თანადამფუძნებლები საჯაროდ საუბრობენ თანამშრომლებზე, რომლებიც „სამუშაოდ ზედმეტად გამდიდრდნენ“, რაც აჩენს კითხვას: გადაურჩება თუ არა ის მისაბადი საკადრო პოლიტიკა, რომელმაც Palantir-ის წარმატება შექმნა, კომპანიისავე მასშტაბურ წარმატებას.

კვირის განრიგი

ორშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
აშშ	ISM-ის წარმოების ინდექსი

სიმბოლო	ტიპი
BNED	შედეგები
VWAV	შედეგები
BAOS	შედეგები

სამშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
საფრანგეთი	ინფლაცია წლის დასაწყისიდან (წინასწარი)
გერმანია	ინფლაცია წლის დასაწყისიდან (წინასწარი)

სიმბოლო	ტიპი
AIR	შედეგები
PENG	შედეგები
ANGO	შედეგები

ოთხშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
ევროზონა	ინფლაცია წლის დასაწყისიდან
აშშ	JOLT-ის ვაკანსიები

სიმბოლო	ტიპი
STZ	შედეგები
JEF	შედეგები
ACI	შედეგები
APLD	შედეგები

ხუთშაბათი

რეგიონი	ინდიკატორი
იაპონია	მომხმარებელთა განწყობები

სიმბოლო	ტიპი
RPM	შედეგები
SNX	შედეგები
AYI	შედეგები
CMC	შედეგები

პარასკევი

რეგიონი	ინდიკატორი
კანადა	ინფლაცია წლის დასაწყისიდან
გერმანია	სავაჭრო ბალანსი

სიმბოლო	ტიპი
ANIX	შედეგები
HURC	შედეგები
LEXX	შედეგები
LEDS	შედეგები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამუშავებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელსაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



TBC CAPITAL

www.tbccapital.ge